საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი **13 სექტემბერი 2011 წელი**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გადაცემული სანდრო ეულის ქ. #3-ში მდებარე შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, მინისტრის 14.07.2011 წლის N128 ბრძანებით შექმნილი საკონკუროს კომისიის სხდომის

ოქმი #3

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსი (კონკურსი #121)

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: **ხათუნა კალმახელიძე** - მინისტრი;

კომისიის წევრები: **გიორგი მაკასარაშვილი** - მინისტრის მოადგილე;

გიორგი არსოშვილი - მინისტრის მოადგილე;

ამირან ჯებისაშვილი - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი გორაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ირაკლი ბაზერაშვილი - გენერალური ინსპექციის უფროსი;

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია.

<u>დღის წესრიგი</u>

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ, 2011 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 15 ივლისს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ **კონკურსში №121** მონაწილის მიერ წარმოდგენილი შეთავაზების განხილვა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

<u>განიხილეს:</u>

კომისიის წევრმა ა. ჯებისაშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის შესახებ. დადგენილ ვადაში **2011 წლის 17 აგვისტოს 15:00 საათამდე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში** საკონკურსო წინანადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: **შპს "ტექნიკური დიზაინის სტუდია"** (TDS) რომლის საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს **75 000,00 ლარს (სამოცდათხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.**

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული არქიტეტურული კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილი არის ფოტო-რენდერების და გენ. გეგმის სახით და აღნიშნეს, რომ შეთაზებული კონცეფცია ვიზუალურად ვერ აკმაყოფილებს კომისიის მხრიდან მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილი იქნება თუ კომისია არ შეაფასებს აღნიშნულ საკონკურსო წინადადებას და კონკურსს მიანიჭებს სტატუსს "კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით".

<u>კომისიამ დაადგინა</u>

- კომისია არ აფასებს **შპს "ტექნიკური დიზაინის სტუდია"** (TDS)-ის საკონკურსო წინადადებას და კონკურსს მიენიჭოს სტატუსი **"კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით"**.

კომისიის თავმჯდომარე:	ხათუნა კალმახელიძე	----------
კომისიის წევრები:	გიორგი მაკასარაშვილი	----------
	გიორგი არსოშვილი	----------
	ამირან ჯეგისაშვილი	----------
	გიორგი გორაძე	----------
	ირაკლი ბაზერაშვილი	----------

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი 13.09.2011 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გადაცემული სანდრო ეულის ქ. #3-ში მდებარე შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, მინისტრის 14.07.2011 წლის N128 ბრძანებით შექმნილი საკონკუროს კომისიის თავმჯდომარის განაცხადი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსი (კონკურსი #121)

მე, ქვემეორე ხელის მომწერი:

კომისიის თავმჯდომარე: **ხათუნა კალმახელიძე** - მინისტრი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

კომისიის თავმჯდომარე: **ხათუნა კალმახელიძე** ----------